მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 10 | 1883—1903 | 31 ოკტომბერი

რედაქციისაგან

ოცი წლის თავი.

30 ოკ. 1883 წ.—30 ოკ. 1903 წ.

ამა წლის 30 ოკტომბერი სწორედ შესანიშნავი დღეა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი ორგანოს „მწყემსი“-სათვის. დღეს შესრულდა ოცი წელიწადი მას აქეთ, რაც „მწყემსი“ არსებობს. ოცი წლის არსებობა ჟურნალ-გაზეთისა, და ისიც ჩვენ საქართველოში, შესანიშნავია. არც ერთი ჟურნალი და გაზეთი არ არსებულა ჩვენში ოცი წელიწადი ერთსა და იმავე რედაქტორის ხელში. რუსეთის ზოგიერთ დიდ გაზეთებს სამი-ოთხი თვის მეტი არ შეუძლიათ იარსებონ მარტო ხელის მომწერთა სახსრით, რომ სხვა საშუალება არა ჰქონდესთ. ეს სხვა საშუალება არის სხვა-და-სხვა განცხადებათა საბეჭდავი ფულები. ამ განსაკუთრებული შემოსავლის წყალობით არსებობენ უმეტეს ნაწილად რუსეთის გაზეთები ⁄ ჩვენშიაც ესევე კარგად ხელს უწყობს ზოგიერთ გაზეთებს. ამ მხრით ჩვენი ჟურნალი სრულებით მოკლებულია იმ შემოსავალს, რომლითაც ზოგიერთები თითქმის უზრუნველ-ყოფილნი არინ. ეს, რასაკვირველია, არ ითქმის იმ ჟურნალ-გაზეთების შესახებ, რომელნიც სავალდებულოდ გაუხდიათ მოსამსახურე პირთათვის და რომლის ხელმოსაწერ ფულებს პირ-და-პირ ჯამაგირებიდან ურიცხავენ, იმის-და მიუხედავად, სურს თუ არა მას მისი გამოწერა ⁄ კითხვა!.. ამისთანა ჟურნალ-გაზეთების არსებობ, არამდენი ხანიც უნდა იარსებონ მათ სრულებით ჩასაგდები არ არის. კიდეც მიტომ „მწყემსი“-ს ჟურნალის არსებობა, რომლის გამოწერა მთლად დამოკიდებულია ხელის მომწერთა სურვილზე და თანაც იმ პირობების განსაკუთრებული ვითარება, რომელშიდაც ჩვენი რედაქცია იმყოფება, ჭეშმარიტად საგულისხმოა.

7135

დღეს ჟურნალის არსებობის ოცი წლის შესრულების დროს მომეცით ნება, პატივცემულნო მკითხველნო, მოკლედ შეგატყობინოთ ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები და ცოტა რამ თავ-გადასავალი ჩვენი ორგანოის „მწყემსი“-სა. მართალია ორასსამასამდე მუდმივი ხელის მომწერი ჰყავს ჩვენ ჟურნალს დღიდგან დაარსებისა, მაგრამ მათაც-კი ბევრი რამ არ შეუტყვიათ როგორც ჩვენი ისე „მწყემსი“-ს თავგადასავალისა ამ ოცი წლის განმავლობაში. ამ ცნობის შეტყობა მკითხველთათვის, განსაკუთრებით ხელის მომწერთათვის, ჩვენის აზრით, არა თუ საინტერესოა, არამედ მიუცილებლად საჭიროა და სწორეთ დროც არის 20 წლის შესრულების დღეს.

ყველამ იცის რომ 1865 წლამდე საქართველოში სასულიერო ჟურნალ-გაზეთის ხსენება არ ყოფილა. არა თუ მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიაც მთელი ეპარქიები მოკლებული იყვენ სასულიერო ჟურნალ-გაზეთებს.

1865 წელს გამოიცა „სასულიერო მახარობელი“ დიდად ნასწავლის დეკანოზის მ. ხელიძისაგან, რომელსაც დიდის აღტაცებით მიეგებენ ყველანი, აღუთქვეს დახმარება და შემწეობა. ჩვენ ამ დროს სემინარიაში ვსწავლობდით. დიდი იმედი გვქონდა ყველას ამ ორგანოსი. ბევრი გავემზადეთ საშრომლად ამ ორგანოში და იმედი გვქონდა, რომ ეს ჟურნალი ჩვენი ცხოვრების კითხვებს უყურადღებოდ არ დასტოვებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჟურნალის პროგრამმა მაშინდელი დროის შეუფერებლად აღმოჩნდა და მკითხველები ვერ მოიპოვა. ხელის მომწერთა მკითხველების რიცხვმა მეორე წელსვე იკლო და მესამე წელს ფულის უმექონლობისა და სხვა და-სხვა მიზეზებისა გამო სრულებით დაიხურა. ეს ძრიელ საწყენად დაურჩა მცირე ხელის მომწერთა.

ჩვენ, გამოვედით თუ არა ცხოვრებაში, 1867 წელში შეძლებისა-და-გვარად ვღებულობდით მონაწილეობას ყველა იმ დროის საერო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სხვა-და-სხვა სტატიებისა და შენიშვნების წერით, როგორც საერო ისე სასულიერო წოდების შესახებ. ბოლო დროს რუსეთის საერო ჟურნალ-გაზეთებმა და მათის წაბაძვით ჩვენმა ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმაც მეტის-მეტი ცალკერძი მსჯელობა დაიწყეს სამღვდელოებაზე. ერთი რომელიმე მღვდლის დანაშაულობისათვის მთელს სამღვდელოებას დაუწყებდენ ხოლმე შეუფერებლად ბრალდებას. ამ გაზეთის რედაქციებს ვსთხოვეთ, რომ მოეცათ ნება მათ ჟურნალ-გაზეთებში გაგვეცა პასუხი სამღვდელოების შესახებ მოწინააღმდეგე მწერალთათვის. მოგვცეს ნება „დროება“-ში, მაგრამ ორიოდე სტატიის შემდეგ უარი განაცხადეს ამისთანა სტატიების ბეჭდვაზე. ამ გარემოებამ მეტის-მეტად დაგვაღონა. წარჩინებული სამღვდელოება ქალაქებისა მთელს საქართველოს საეგზარხოსოში სრულებით არას ფიქრობდა სასულიერო ჟურნალის გამოცემაზე. მართალი რომ სთქვას კაცმა, არც დრო ჰქონდათ. გარდა პირდაპირი მოძღვრის თანამდებობისა, თავის სამწყსოში გაკვეთილები ჰქონდათ სხვა-და-სხვა სასწავლებელში და ვინ ისურვებდა ამ შემოსავლის უარის თქმას, ჟურნალის გამოცემისთვის ხარჯის გაწევას! მათ დღესაც, არა თუ ჟურნალების გამოცემისა ჯ სტატიების წერისათვის, არამედ დამზადებული ჟურნალების წაკითხვისათვისაც არა აქვსთ დრო!.. ჩვენ, სოფლის მღვდელს, არ მოგვითმინა გულმა სასულიერო წოდება ასე მოკლებული ყოფილიყო ყოველ პერიოდულ გამოცემას ჯ განვიზრახეთ დრო-გამოშვებით გამოცემის დაარსება. შევადგინეთ გამოცემის პროგრამმა და თხოვნა მივართვით ყ-დ სამღვდელო გაბრიელს, რომელმანც სიამოვნებით წარადგინა, სადაც ჯერიყო.

მიიღო თხოვნა ექსარხოსად ყოფილმა პავლემ. დაფიქრდა და გამომიცხადა: მეშოვა ვინმე პასუხის მგებელ რედაქტორად თ.ფილისის ქალაქში და დამისახელა სამი, მისის აზრით, საიმედო პირნი: დეკანოზი გ. ხელიძე, მანსვეტოვი და პ. კონჩუევი, რომელთანაც კიდეც გამგზავნა მათის სურვილის შესატყობლად. თუმცა ექსარხოსის სურვილის აღსრულება ჩემგან უარის ყოფას მოასწავებდა, მაგრამ მაინც აღვასრულე მისი ბრძანება. დეკ. მ. ხელიძემ მითხრა, რომ არა აქვს იმედი ხელის მომწერლების შოვისა და არც სურს, შემდეგ თავის ჟურნალის დახურვისა, რაიმე გაზეთის ანუ ჟურნალის რედაქტორობა იკისროს. დეკ. მანსვეტოვმა განაცხადა, რომ მან კარგათ ქართული ენა არ იცის, გარდა ამისა სნეულადაც არის ჯ არ შეუძლია პასუხის მგებლობა და რედაქტორობა ისურვოს. მამა კონჩუევთან აღარ მივსულვარ როგორც დარწმუნებული, რომ ის არასოდეს ჩემი გამოცემის პასუხის მგებელობას არ ისურვებდა, და კიდეც რომ დათანხმებულიყო,

მისი რედაქტორობა ყ-დ შეუძლებელი იქნებოდა ჩემთვის. მოკლე ჩემი მოხსენების შემეეგ წარდგინდა ექსარხოსიდან უწ. სინოდში ჩემი თხოვნა გეგმით...

წარმოიდგინეთ ზოგიერთი პირების ავკაცობა! საერო ქართულ გაზეთებში აღძრეს ერთი უშველებელი წერა ჯერ ნება-დაურთველ ჟურნალის „მწყემსი“-ს წინააღმდეგ. სწერდენ იგინი: „ეს ჟურნალი საერო ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდის. თხოვნაში ღამბაშიძე ამბობს, რომ საერო ჟურნალ-გაზეთებში მართლმადიდებელი ხალხი სულიერ საზრდოს ვერა ჰპოებსო.“ ეს სიტყვები საკმაო იყო ზოგიერთების ასამხედრებლად გამოუსვლელ ჟურნალის წინააღმდეგ. წარმოიდგინეთ პასუხსაც არ გვიბეჭდავდნენ ამის შესახებ ის რედაქტორები, რომელნიც წინედ შრომით დახმარებას გვეხვეწებოდენ. ამ ნაირად ჩვენ კეთილ განზრახვას დასაწყისშივე აღმოუჩნდა ისეთი პირები, რომელნიც ეშმაკის შთაგონებით მაცადინობდნენ ხელის შეშლას. მაგრამ ამაოდ ჩაიარა მათმა მაცადინობამ, აღარ გასჭრა ზოგიერთების ბეზღობით ეფისტოლეებმა. უწმიდესმა სინოდმა ნება დართო ახალ ორგანოს „მწყემსი“-ს გამოცემისა ჩვენის რედაქტორობითა და გამომცემლობით. ოკდომბრის თვე 1883 წლისა უშესანიშნავეს დღედ შეიქმნა ჩვენთვის, რადგან ამ თვეში მივიღეთ ნებართვა გაზეთის გამოცემაზე, რომელის დაარსებაც ასე გულითა და სულით გვსურდა.

რედაქცია, რასაკვირველია, დაარსდა დ. ყვირილაში და ბეჭდვა დაწყებულ იქმნა ქ. ქუთაისში. ზოგიერთების რჩევა ქალაქში გარდასვლისა უარვჰყავით. ყველას ამას ვუმტკიცებდით, რომ ოღონდ სურვილი იყოს, თორემ კაცს ყოველი ადგილიდან შეუძლია სამსახური გაუწიოს ეკკლესიასა და მამულს. არც მოვტყუვებულვართ... წარმოიდგინეთ, მკითხველო, რა გრძნობით მიეგებებოდა ზოგიერთი ქალაქის „განათლებული“ სამღვდელოება ჩვენს გამოცემას. იგინი საზოგადოებას უმტკიცებენ, რომ უმათოდ სოფლის მღვდლებისაგან არაფერი არა კეთდება-რა!.. შურმა შეიპყრა ზოგიერთები და ალმაკერად დაუწყეს ყურება ჟურნალს. მათ აჭყვნენ ზოგიერთი მათი ხელქვეითები და ნაცვლად თანაგრძნობისა ყოველის ღონის-ძიებით ხელს გვშლიენ და დღემდის მეცადინობდენ დაბრკოლებას. მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, და მეშურნეთა სასირცხოდ, სამღვდელოების უმეტესი ნაწილი დიდის თანაგრძნობით მიეგება ახლად დაარსებულ ჟურნალს და დღიდგან მისის დაარსებისა დღემდე გულით და სულით თანაგრძნობას უწევს და კავშირს არ სწყვეტავს რედაქციასთან. და აი, სამღვდელოების ამ უმეტესი ნაწილის თანაგრძნობით. რედაქციამ მრავალ დაბრკოლებას დასძლია. რედაქციამ 1886 წელში სტამბა შეიძინა და ამით მეტის-მეტად გაგვიმდვილდა საქმე...

1887 წელში სემენარიის რექტორმა მისაილმა აღძრა კითხვა «მწყემსი»-ს საზოგადო საექსარხოსოის ჟურნალად გადაკეთებაზე. მისი პროექტით ჩვენი ჟურნალი უნდა გადაკეთებულიყო ოფიციალურ საექსარხოსოს ჟურნადად. ჟურნალი უნდა გამოცემულიყო თბილისში. ჩვენც კარგ ადგილს გვაძლევდენ თბილისშივე; რუსული სტატიების რედაქტორად უნდა ყოფილიყო მამა მისაილი და ქართულისა— ჩვენ. «მწყემსი“-ს პროგრამა და გარეგნობა მ. მისაილის აზრით უნდა შეცვლილიყო და პოლოცკის ეპარქიალურ გამოცემის მსგავსად უნდა ყოფილიყო პატარა წიგნაკად. ჩვენ არ გავხდით თანახმა ჩვენი გამოცემის პროგრამის შეშლაზე; ამასთან უარი განვაცხადეთ თბილისში გარდასვლაზე, თუმცა საპატიო და კარგ შემოსავლიან ადგილს გვაძლევდენ. საქმე შეჩერდა თითქმის სამს წელს. მათი მეუფების მთავარ ეპისკოპოზის პალლადის სურვილით „მწყემსი“-ს რედაქცია გამოცხადდა თბილისში, თუმცა ჟურნალი იწერებოდა ყვირილაში და იბეჭდებოდა ქუთაისში...

როცა მეორე შეკითხვაზე ჩვენ კიდევ არ გავხდით თანახმა ჩვენი ორგანოს ოფიციალურ ორგანოდ გადაკეთებაზე, გამოითხოვეს ნებართვა საქართველოს საექსარხოსოის ჟურნალის გამოცემაზე. თანახმად ექსარხოსის სურვილისა მიიღეს ნებართვა. მიეწერა სამღვდელოებას ხელის მოსაწერი ფულების გამოგზავნა და გაჩაღდა გამოცემის საქმე. ზოგიერთ ქალაქის წარჩინებულ სამღვდელოებას ეს ჟურნალი უფრო მოსწონს და უფრო საინტერესო საკითხავად მიჰჩნიათ, მაგრამ ეს დიდი გასაკვირველი არ არის, რომ ისეთის მშვენიერის სტატიებით და ისე სასიამოვნო საკითხავად გამოდის ეს ჟურნალი. რედაქტორებად დიდათ განათლებული კაცები არიან ხოლმე და თანამშრომლებად განათლებული სემინარიის პროფესსორები ჰყავს. ამასთან უმაღლეს სწავლამიღებული მღვდლები იღებენ მონაწილეობას, ამისთვის ვამბობთ გასაკვირვგდი არ არის, რომ ამ ჟურნალმა ასე კარგად დააყენა თავისი საქმე—დაასე საინტერესო საკითხავად გახდა სამღვდელოებისათვის...

სხვა-და-სხვა დაბრკოლებაზე ზევიდგან და ქვეიდგან, შიგნიდან და გარედან არას ვიტყვით, რადგან ამ დაბრკოლებათა შესახებ ცნობები «მწყემსი-ს» სრულ ბიოგრაფიულ შენიშვნებთან ერთად ცალკე წიგნად გამოვა, (რომელიც უფასოდ დაურიგდება ჩვენ მუდმივ ხელის მომწერთ, იმათ რომელნიც უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ჩვენი ჟურნალის ხელის მომწერლებად ითვლებიან).

ესეთი გახლავსთ მოკლე ისტორია «მწყემსი"-ს დაარსებისა და მისი თავგადასავალისა. რაც დაგვაკლდა ეხლა ვრცელი ბიოგრაფიული ცნობები ჟურნალის „მწყემსი-"სა, ამას მკითხველებს შევატყობინებთ შემდეგში.

ეხლა ყველასთვის საგულისხმოა შევიტყოთ ის, თუ რა სარგებლობა მოუტანა ამ ორგანომ 20 წლის განმავალობაში, შევიტყოთ, თუ რა სამსახური გაუწია «მწყემსი"-ს ჟურნალმა ჩვენს სამღვდელოებასა და საზოგადოებას? ჩვენის აზრით ამის აღხსნა და განმარტება შეუძლიან მხოლოდ მათ, ვინც კითხულობდა და ვინც თვალ-ყურს ადევნებდა ჩვენი სამღვდელოების და საზოგადოების მიმდინარე ცხოვრებას და ამავე დროს ყურადღებას აქცევდა ჟურნალის ხმას და ცხოვრებისაგან აღძრულ სხვა-დ სხვა კითხვებს. იმგვარ მკითხველს-კი, რომელსაც არ ესმის საზოგადო ცხოვრებისგან წამოყენებული კითხვები და ჟურნალ-გაზეთს ჰკითხულობს მხოლოდ დროების გასატარებლად, მათ რასაკვირველია, არავითარი აზრი არ მოეთხოვება. ვისაც ჟურნალისათვის თვალ-ყური სრულებით არ უდევნებია და დაბეჭდილ სტატიებზე და ცხოვრებისაგან აღძრულ კითხვებზე არ უფიქრია, მათ კრინტის დაძვრის ნებაც არა აქვსთ ჟურნალის სამსახურის დაფასებაზე. ყოველს შემთხვევაში მკითხველი საზოგადოებისათვის მიგვინდვია ამ საკითხის გარდაწყვეტა...

ოცი წელიწადი, მართალია, დიდი დრო არ არის, მაგრამ ჩვენ ქართველებისათვის ეს 20 წელიწადი 1883 წლიდგან 1903 წლამდე წარსული წლების სამოც წელს უდრის. სამოცი წლის განმავლობაში არ მომხდარა ის ცვლილებები, რაც მოხდა ამ ოცი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით სასულიერო წოდებაში. დედა-მიწაზედ არ მოიძებნება ისეთი ხალხი, როგორიც ჩვენ ქართველები ვართ, რომ ისე უგრძნობლად მიგებებოდენ ყოველ გვარ ცვლილებებს, როგორც ჩვენ ვეგებებით უდარდელად და არხეინად. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენ ქართველებისათვის, განსაკუთრებით სამღვდელოებისათვის, დასდგა ახალი დრო, რომელიც ერთობ განსხვავდება ჩვენი ძველი დროისაგან. დიდი გამჭრიახობა, დიდი შრომა და მეცადინეობა გვმართებს, რომ ჩვენ სამწყსოს წინ მივუძღოდეთ და უკან არ ჩამოვრჩეთ.

წავიდა ძველი დრო, ჰქრება სრულებით ძველი აზრები, ძველი შეხედულება, ძველი მიმართულება, ძველი ჩვენებური მამა-პაპური ძმობა, სიყვარულობა და ყოველივე ძველი ჩვეულება და დარბაისლობა: მწყემსი სათავეში უნდა უდგეს სამწყსოს და ყოველივე ღონეს უნდა ხმაროობდეს, რომ მისი ხმა ესმოდეს ცხოვართა...

აწინდელი ცხოვრების მიმხედვარე იმედს ჰკარგვენ და სასოწარკვეთილებას ეძლევიან, ხედავენ-რა ბევრი ჩვენგანი სარწმუნოების დამცირებას, ზნეობის დასუსტებასა და სხვა-და-სხვა სვინიდისის წინააღმდეგ მოვლენათა: უაჯაობას, უკანონობას, მჩაგვრელობას, და შევიწროებას.

მაგრამ ღმერთმანნუ ჰქნას ეს! შორს ჩვენგან სასოწარკვეთილებავ! შორს ჩვენგან უიმედობავ! სასოწარკვეთილება ერთი მომაკვდავ ცოდვათაგანია! გადავშალოთ დაბადების წიგნი და გადავათვალიეროთ ხალხის ისტორია. განა წინად არ ყოფილა უარესი იმაზე, რასაც დღეს ვხედავთ?.. განა მარტო ჩვენშია ყველა ის რასაც ვხედავთ და სხვაგან არა არის-რა? სარწმუნოება ხანდისხან მხოლოდ რამოდენიმე პირთა შორის დაცულა და ბოლოს ისევ გავრცელებულა. ერთ დროს არსებული ძალმომრეობა, ერთი მეორისაგან ჩაგვრა და დევნულება მოსპობილა და ქვეყანაზე დამყარებულა მშვიდობა ბ კაცთა შორის სათნოება. ერთნაირი ცხოვრება ქვეყანაზე არასოდეს არ ყოფილა. დროება ცვალებადია. სად არის დღეს ყოველივე ის, რაც იყო ეგვიპტეში? სად არის დღეს ის, რაც იყო რომში და რაც ხდებოდა შესანიშნავ კოლიზეუმში? სად არის ის, რაც ხდებოდა ჩვენში თათრებისა და სპარსელების დროს?..

ვიქონიოთ იმედი, იმედი და იმედი. ჩვენი და ჩვენი სამწყსოის ხსნა შეუძლია მხოლოდ ერთად-ერთს განათლებას. მხოლოდ ამისი იმედი უნდა გვქონდეს. უნდა გამოვეთხოვოთ სამუდამოდ იმ ფიქრსა და აზრს, რომ ჩვენზე იზრუნვენ და რაც საჭიროა ჩვენთვის სხვები გაგვიკეთებენ და აგვისრუ-

ლებენ. ეს არსად ქვეყანაზე არ მომხდარა და ნურც არავინ ჩვენში მოელის ამას. მაშ, ისევ სიმხნე, ჩვენო თანამოძმენო, გამჭრიახობა, შრომა მეცადინობა და ნიადაგ ზრუნვა თავის თავის განვითარებაზე, შვილებისა და სამწყსოს განათლებაზე.

ჟურნალის „მწყემსი“-ს გამოცემაზე ნების მიღების დროს ჩვენ შევსთხოვეთ მხურვალე გულით ღმერთს, მოენიჭებია ჩვენთვის ჯანმრთელობა თხუთმეტ წლამდე მაინც რომ შეგვძლებოდა ამ ორგანოთი სამსახური საზოგადოებისა და სამღვდელოებისათვის. ღმერთმან ისმინა ჩვენი ვედრება და აი აგერ ოცი წელიწადი შესრულდა და არასოდეს ჩვენი ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხებულა. დღეს მეოც-და-ერთე წელს, ღვთის შეწევნით, ჩვენი გული იმავე მხნეობასა და იმავე საქმის სიხალისეს ჰგრძნობს, რასაც პირველად საქმის დაწყებისას გრძნობდა. ამ ენერგიას, და ამ სიხალისეს ჰბადებს ჩვენს გულში ჩვენ თანამოძმეთა და ჩვენ ჟურნალის ხელის მომწერ ერის-კაცთა გამამხნევებელი, მადლობისა ტ თანაგრძნობის წერილები. ეს წერილები ჩვენთვის დიდათ სანუგეშო არიან უსიამოვნებისა და შეწუხების დროს, რასაც ხშირად ვგრძნობთ ამ ქვეყნის წალმა-უკულმა ტრიალით და ზოგიერთ პირთა უჯერო და უდიერის საქციელით. სრული დაიმედებული ჩვენ მუდმივ ხელის მომწერთა ჩვეულებრივ თანაგრძნობაზე, ვაცხადებთ ხელის მოწერას მომავალი წლისათვის „მწყემს-“ზე ტ «Пастырь»-ზე. ამასთანავე ვაცნობებთ ჩვენ მკითხველებს რომ მომავალი წლიდან ჩვენ განვიზრახეთ გამოცემა „მწყემსი“-ს ჟურნალთან ყოველ თვიურის ცალკე დამატებისა, ეს დამატება იქნება სამკურნალო და საჭგიგიენო ფურცელი. ამ დამატების გამოცემაზე ჩვენ უკვე შევიტანეთ შინაგან საქმეთა სამინისტროში თხოვნა და მიწერ-მოწერა უკვე დაწყებულია. იმედიც გვაქვს ნების მიღებისა. ეს სამკურნალო ფურცელი დაუფასებელ შემწეობას აღმოუჩენს სოფლის მოძღვართ და სამრევლოთაც, რონელნიც ასე ღვთის-ანაბარად არიან გაშვებულნი და უბრალო საექიმო დარიგების უცოდინარობით გამოუთქმელ წვალებას მიეცემიან ხოლმე. ავად-მყოფობის დროს მღვდლებსა და სოფლის მასწავლებელთ, რომელნიც ასე დაახლოვებულნი არიან სოფლის ხალხთან, დიდი შემწეობის აღმოჩენა შეეძლებათ ამ ჟურნალის დამატებით. ფასი ჟურნალის «მწყემსი“-ს დამატებით ეღირება 4 მან. *) ასე ჩვენო ძვირფასნო თანამოძმენო და მკითხველნო. შორს ჩვენგან უიმედობა, სასოწარკვეთილება და გონებით დაძაბუნება! გაუმარჯოს ღმერთმა ზნეობისა და სარწმუნოების განმტკიცებას, ჩვენს თვითგანვითარებას, სწავლა-მეცნიერების გავრცელებას ჩვენ შორის, ერთობასა და ძმობას ჩვენ და ჩვენ სამწყსოთა საკეთილდღეოდ.

რედ. დეკ. დ. დამბაშაძე.

ჩვენის სამღვდელოების საჭიროება

(ხალხის მოკეთეთა საყურადღებოდ).

დღეს მთელის რუსეთის იმპერიის საუკეთესო ინტელიგენცია ქვეყნის მეურნეობა-მრეწველობის განკარგებაზედ და ხალხის ჭკვა-გონების გამდიდრებაზე ჰზრუნავს და ჩვენს სამღვდელოებას-კი საღათას ძილითა სძინავს მაშინ, როდესაც ყოველი მწყემსი კეთილი მოვალეა თითონ გადუშალოს ხელის გულივით ქვეყნის გულშემატკივართ თავის სამწყსოს ათასნაირი საჭიროებანი და მათი საშველი საშუალებანი.

მართლაც და, ვინ უნდა იცოდეს ისე ზედმიწევნით ხალხის ზნე-ყოფა-ცხოვრება და მისი სულიერი და ნივთიერი საჭიროებანი, თუ არა ხალხის სულიერმა მამამ, რომელიც ნათლობიდამ კუბოს კარამდე მრევლის ცხოვრების მეგულისპასუხე და მესაიდუმლეა ჭირშიაც და ლხინშიაც, მაგრამ... მაგარიც ეს გახლავთ, რომ დღეს ჩვენი სამღვდელოება სამარცხვინოდ დაბეჩავდა, მარტოოდენ ჯიბე-კუპის მაღმერთებელი ქვეყანას აღარ არგია, მრევლს მღვდლისა აღარაფერი გაეგება და მღვდელს მრევლის ჭირი და ლხინი აღარ ეზიდება გულზე.

ერთის სიტყვით, ჩატყდა ხიდი ერთობისა მრევლსა და მღვდელს შორის ტ დაეცა სარწმუნოებაც, რომელმაც იხსნა ჩვენი ქვეყანა მრავალ საუკუნოე-

*) დაწვრილებით გეგმას ამ დამატებისას შემდეგში გამოვაცხადებთ.

ბის განმავლობაში ათასგვარ განსაცდელისაგან და კიდევაც სარწმუნოებისაგან უნდა მოველოდეთ ხსნას, ვიდრე ჩვენი ერი ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალამდის ავა მადლიანის სწავლა-ცოდნით. დიაღ, ან საკმაო განათლება უნდა ჰქონდეს ხალხს ან ღვთის შიში და სარწმუნოება, თორემ ადვილად გაანადგურებს მწარე ცხოვრების უთვალავი ჭირ-ვარამი.

ყოველ მხრივ განვითარებულ მოძღვარს, რომელიც-კი წლის-წლობამდის სოფლის ხალხში ტრიალებს მოუსვენარ ბებიას დაუცხრომელ ჯარასავით, ძალიან ადვილად შეუძლიან ჩაუნერგოს გულ-გონებაში მდაბიო ხალხს ათასი რამ საკეთილო აზრი, ცხოვრებაში სახეიროდ გამოსადეგი სწავლა-ცოდნა და გამოსაფხიზლებელი თვით-ცნობიერება, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც ვიცით, მღვდელსა და მრევლს შორის კარგა ხანია ჩანგრეულია ხიდი სულიერ ერთობისა და მღვდლის ქადაგება-მასლაათს აღარავითარი გავლენა აღარა აქვს ხალხში. მღვდელმა რომ უთხრას მრევლს: ალაზანი თავ-დაღმა მიდისო, იმასაც აღარ უჯერებენ. დახეთ ჩვენს ბედშაობას: რა ყოფა-მდგომარეობაში ვართ და სწორედ ამისთანა ბედ-უკულმართ დროს მწყემს არ ძალუძს გზა დაბნეული ცხოვარი თვისი საკეთილო გზაზე დააყენოს და მითი დაიფაროს იგი ათასგვარ განსაცდელისაგან...

რამ დაბადა მრევლსა ⁄ მღვდელს შორის ასეთი სამწუხარო უთანხმოება?—მართალია, ბევრმა სხვადა-სხვა მიზეზებმა (რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა), მაგრამ უფრო-კი „კოდის პურმა“. აუღია, ბატონო, გაჭირვებულ მღვდელს საწყაო ნიტრა, გაუგდია წინ ტომარა-აკიდებული სახედარი და ატოის გლახასავით დადის სოფელში კარდაკარ კოდის პურისათვის, რომელსაც ორში ერთიც არ აძლევს და ათასნაირ შეურაცყოფასაც აყენებენ მღვდელს. რა ჰქნას მღვდელმაც? ისიც ოჯახის პატრონი კაცია და იმასაც ცხოვრება უნდა. ხშირად ისეთი დავი-დარაბა ასტყდება ხოლმე მღვდელსა და მრევლს შორის კოდის პურის გამოისობით, რომ უყურო, ნუ გაიგონებ ყურო და, თვალო ნუ დაინახავო,—ამას-ღა იტყვით იმ საშინელ შფოთისა და აყალ-მაყალის მომხილველი. აი უმთავრესი მიზეზი სარწმუნოების დაცემისა, სამღვდელოების ხალხში გავლენის დაკარგვისა და განვითარებულ კაცის სოფელში მღვდლად წასვლის უარ-ყოფისა.

საკვირველია, ღმერთმანი! დღეს რადგანაც ცხოვრება გაჭირდა და გაძნელდა, ამისათვის გოგოლის „დერჟიმოდების“ ცხოვრების გაუმჯობესობასაც კი გულმოდგინედ სცდილობენ და ქვეყნის დედა-ბურჯ ხალხის მწყემსების გაჭირვებას-კი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, რომ მღვდელსა ⁄ მრევლს შორის დამყარდეს ერთობა, მშვიდობა და სათნოება ქვეყნის წარმატებისათვის! მაგრამ იქნება ესაც ერთნაირ პოლიტიკობის ბრალი იყოს?..

რომ ათასგვარ სიკეთე-მადლს აღარ იყოს ხალხი მოკლებული, კოდის პურის გამო მღვდლის მოძულებით, დიდი ხანია დაადგინა სასულიერო კაცთაგან შემდგარმა კომისიამ: კოდის პური შეიცვალოს ფუთზედ, რომელსაც ადგილობრივი ადმინისტრაცია უნდა ჰკრებდესო. ხსენებული დაღგენილება კომისიისა უწმინდეს სინოდისათვის უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად, მაგრამ დღესაც არაფერი ისმის. რომელსაც-კი ჩვენის ხალხის წარმატება ენატრებათ და შეუძლიანთ რამ, დიდად საჭიროა ენერგიულად ეცადნენ, რომ, რაც შეიძლება ადრე და მალე, შეიცვალოს კოდის პური ფულზე, თორემ არ მოისპობა სხვა არას გზით მრევლსა და მღვდელს შორის სულიან-ხორციანად დამღუპავი მძულვარება და განხეთქილება.

ღმერთო მაღალო, დაუსაბამო! რამოდენი რამ საერთო წმინდა საქმეა გაუკულმართებული ჩვენში, რომლისათვისაც ყველაზე უწინარეს ჩვენმა სამღვდელოებამ უნდა აღიმაღლოს ხმა ჭეშმარიტების წინაშე და „სული თვისი დასდოს ცხოვართათვის“ ქვეყნის სასიკეთოდ, მაგრამ სად არი? სამღვდელოებას მრევლისაგან გასტეხია გული და მრევლს—სამღვდელოებისაგან.

ყოვლად-შემძლე გამჩენმა ინებოს, რომ ჩვენ სამღვდელოებას სათნოიანი სულგრძელობით დაეთმინოს მაცხოვრის ბრძანებისამებრ, ყოველივე გაჭირვება ⁄ შეურაცხყოფა სამშობლოს წარმატების გულისათვის და თავისი დიდი და წმინდა მოვალეობა პირნათლივ აღესრულებინოს მრევლში კეთილ მეტყველებით და ხალხის სულისა და გონების ამმაღლებელ საქმეთა დაბადება-აღორძინებით.

მღვ. ვლადიმერ მაჭარაშვილის წერილისა გამო

(ცნ. ფურცელი № 2281).

თავის წერილში მღ. მაჭარაშვილი აღნიშნავს იმერეთის ეპარქიის სამართლიან გოდებას იმის შესახებ, რომ მათი შვილები, სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ, გვერდს უქცევენ მღვდლობას და უნივერსიტეტში შედიან სწავლის განსაგრძობათ; რომ ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი ვერ ამზადებს მათ შვილებს სემინარიაში შესასვლელად, რაისა გამოც უმეტესობა სემინარიის გარეთ რჩება. შენიშვნა დიაღ საფუძვლიანი არის, მაგრამ მამა მაჭარაშვილისაგან ჩვენი სამღვდელოების გოდებისა და ცრემლთა ფრქვევის გასაქარვებლად დასახელებული საშუალება-კი უებარი არ უნდა იყოს. მამა მაჭარაშვილის აზრით, თუ ვინიცობაა სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი და გასწვრივი კლასები დაიხურება, ამიოი შესანახი ფულით კარგი იქნება თითოეულ მაზრაში, ან ორ მაზრაში მაინც, დაარსდეს სამ-განყოფილებიანი მოსამზადებელი კლასები, რომლებმაც სხვა-და-სხვა სასწავლებელთა პირველ კლასში შესასვლელად უნდა მოამზადონ შეგირდები. მიკვირს, რად დასჭირდა მ. მაჭარაშვილს ასეთი კლასების დაარსება, ან რა უნდა მოიგოს მათი დაარსებით სამღვდელოებამ? ეს მოსამზადებელი კლასები ვერასოდეს ვერ მოამზადებენ შეგირდებს პირველი კლასისათვის იმაზე უკეთ, როგორათაც დღეს ამზადებენ სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასები. ამას გარდა, თვითოეულ მაზრაში რომ სამ-განყოფილებიანი სასწავლებელი დავაარსოთ, ეპარქიის ყველა მაზრებში ასეთ სასწავლებლებს (ადგილის შეძენა, შენობის აგება, ორ-ორი მასწავლებლების დაქირავება, მსასური, შეშა და სხ.) ხუთჯერ მეტი ხარჯი დასჭირდება იმაზე, რაც დღეს სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებს სჭირდება. ბავშვების შენახვა ასეთ სასწავლებელში თითქმის იმოდენსავე ხარჯს მოითხოვს, რამდენსაც ქუთაისში ითხოვს. ერთი სიტყვით, მ. მაჭარაშვილისაგან განზრახული მოსამზადებელი კლასები დღეს ჩვენთვის სრულებით საჭირონი არ არიან, რადგან პირველი კლასისათვის შვილის მომზადება თვითეულ ჩვენგანს ადვილად შეუძლია თვისსავე სოფლის, ან მახლობელი სოფლის სასწავლებელში. დღეს სწავლა-განათლების შესახებ ის არ ითქმის, რაც ამ ოციოდე წლის წინეთ ითქმოდა. თუ ამ ოციოდე წლის წინეთ შორაპნის მაზრაში შვიდი-რვა ერთ-კლასიანი სკოლა იყო და არც ერთი ორკლასიანი, დღეს ამ მაზრაში ერთი საქალაქო სასწავლებელია და ასამდე ორივე უწყების პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელთაგან 22 ორკლასიანია. ნუ თუ ამოდენი სკოლების პატრნოს კიდე ცალკე მოსამზადებელი კლასების დაარსება სჭირდება? განა არ შეგვიძლია ამ სასწავლებლებში ჩვენი შვილები პირველ კლასისათვის მოვამზადოთ? კი შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ არ ვსარგებლობთ ამ სასწავლებით. რაი და სასულიერო სასწავლებელს მოსამზადებელი კლასები აქვსო, აღარ ვიწუხებთ თავს, იქნება თუ არა ბავშვი 7—8 წლის პირ-და-პირ მივარბენინებთ ქუთაისში პირველ მოსამზადებელში შესაყვანათ. აქ კი ბევრი სხვა-და-სხვა ასაკისა და მომზადების ბავშვი იყრის თავს: 7—8 წლის შეგირდს 10—11 წლის ამოუჯდება გვერდში და ძლივს ანბანის მცოდნეს—კარგი წერა-კითხვის მცოდნე, რომელიც სწორეთ პირველი კლასისთვის არის მომზადებული, მაგრამ უადგილობისა ან სხვა რაიმე მიზეზისა გამო პირველ კლასში არ მიუღიათ და პირ. მოსამზადებელში ზის. ასეთი აჭრელებული კლასი-კი ცუდ სურათს წარმოადგენს: პატარაები და მცირედ მომზადებულნი იჩაგრებიან, ვერ უწევენ სწავლაში ყაირათს თავის კარგათ მომზადებულსა ⁄ მოზრდილს ამხანაგებს; ეს უკანასკნელები კი სიზარმაცეს ეჩვევიან, რადგან მათ ორი-სამი წლის განმავლობაში არაფერს ახალს არ ასწავლიან. ჩემი ფიქრით, კარგი იქნება დაიხუროს სასულიერო სასწავლებლის პირველი ორი მოსამზადებელი კლასი და დარჩეს მარტო უფროსი მოსამზადებელი კლასი, რომელში შესასვლელადაც სულ ადვილათ შეუძლიათ ბავშვის მომზადება ცოტათი მაინც რიგიან სამრევლო სკოლებს, რომელთა რიცხვი მარტო შორაპნის მაზრაში დღეს 75-დე ადის. რომ ზოგიერთ სამრევლო სკოლას (ცოტა სწავლის საქმის გაუმჯობესობის შემდეგ კი ყველასაც) ადვილად შეუძლია სამღვდელოებას ასეთი სამსახური გაუწიოს, ამაში მე დავრწმუნდი წელს ხსენებულ სკოლებში შეგირდების გამოცდის დროს. რაიცა შეეხება სასულიერო სასწ- ყველა გასწვრივი კლასების დახურვას, ეს კიდე უფრო სასურველი და ტვირთის შემსუბუქებელი იქნება სამღვდელოებისათვის, თუ კი ძირითადი კლასები დაკმაყოფი-

ლებენ ამ სამღვდელოების მოთხოვნილებას. დახუ-
რული ყველა გასწვრივი და ძირითადი ორი მოსა-
მზადებელი კლასის შესანახი ფულები, ჯიბეშიც
რომ არ ჩაიდოს სამღვდელოებამ, შეუძლია მოახმა-
როს როგორც იმავე, ისე საებარქიო სასწავლებლის
ყოველნაირად გაუმჯობესობას, როგორც ამას სა-
ჭიროდ იცნობს სასწავლებელთა მმართველობა და
სამღვდელოების დეპუტატთა კრება.

მღ ს. ჭუმბურიძე

მიზეზები კაცის მრავალ უბედურებათა.

(ნათარ. ფრიდრიხ კირსნერის წიგნიდან „გზა ბედნიერებისაკენ“)

(გაგრძელება*)

რაოდენიმე სიტყვა მსოფლიო (საყოველთაო) მეცნიერებისა გამო.

მსოფლიო ქმუნვარება წარმოადგენს ფრიად
გავრცელებულს სნეულებას ჩვენი დროებისას. წინა
საუკუნეებში-კი, წინაალმდეგ ბუდიზმის აღმსარე-
ბელი, ზარმაცი, პასიური ინდოელისა, ევროპიელი
ერები ცქვიტნი და მხიარულნი იყვნენ და მხოლოდ
აქა-იქ გაისმოდა პესიმისტური აზრები. რა თქმა
უნდა ხან-და-ხან ყოველი ადამიანი, განსაკუთრებით
სიჭაბუკეში, გრძნობს უსიამოვნო მარტოკაობას,
განიცდის წამებს, როდესაც ყველა ადამიანებში,
ყველა მოვლენებში მხოლოდ ცუდს მხარეებს-ღა
ამჩნევს. ისეთი იდეალისტებიც-კი, როგოც, მაგ.,
შილლერია, ლენუა, ანასტასი გრიუნი ზოგჯერ
პესსიმიზმისკენ გრძნობენ მიდრეკილებას, რაიც ნათ-
ლად სჩანს მათის ნაწერებიდან. ისეთმა ოპტიმისტ-
მაც-კი, როგორიც სოფოკლია, ერთხელ სთქვა:
„ყველაზე უკეთესი ადამიანისათვის ის იქნებოდა,
რო არ დაბადებულიყოვო“. დიდი განსხვავეაა—
ზოგ-ზოგჯერ გრძნობს ადამიანი ქვეყნის სიცალიერეს
(припадки тоски), თუ ეთანხმება შოპენგაუერის
მეცნიერულ შეხედულობას, რო ეს ქვეყანა ერთ
ქრთილადაც არა ღირსო. თანამედროვე მწერალთა-
გან ასეთის აზრის გამომხატველად ჯ გამტარებელად
სიტყვა-კაზმულ მწერლობაში იყვნენ: ბაირონი, ჰეინე,
და ლგოპარდი. ეხლაც არსებობს მოდა, განსაკუთ-
რებით ნივთიერად უზრუნველ-ყოფილ ყმაწვილ კა-
ცობაში, რო ისინი თავს პესიმისტებად აღიარებენ.
გამოვიძიოთ ხეირიანად ეს შეხედულება, რომ დამ-
ტკიცდეს მისი უსაფუძვლობა.

აზრი, ვითომც ჩვენი ქვეყნიერება ყოვლად
უხეიროა, სრულიად უსაფუძვლოა, რადგანაც გვა-
გულვებინებს ერთის მხრით შესადარებლად სხვა
ქვეყნიერებათა არსებობასაც, მეორეს მხრივ კიდე—
რო ღმერთმა, როგორც ამას სერიოზულად ამტკი-
ცებს ოპტიმისტი ლეიბნიცი, მრავალ არსებულ
ქვეყნიერებათაგან ამოარჩია სწორედ ჩვენი ქვეყანა.
აზრი, ვითომც შესაძლო იყოს არსებობა უკეთესის
ან უარესის ქვეყნიერებისა, მხოლოდ ლოლიკის და-
ნასკვენიჰ, მხოლოდ ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია;
ნამდვილად კი არსებული ქვეყნიერება მარადის ერთი
იყო და არის. რო ჩვენი ქვეყნიერობა (კოსმოსი)
მშვენივრად მოწყობილია, ეს მტკიცდება მისის ხან-
გრძლივი არსებობით. რადგანაც ყოველი წამის მდგო-
მარეობა სამყაროისა შედეგია ურიცხვ ძალთა საუ-
რთიერთო ზედ-მოქმედებისა, ამიტომ თუ არ არსე-
ბობდეს ქვეყნიერებაზე სრული ჰარმონია, იგი აქამდე
დაირღვეოდა,—დაიფუშებოდა. ამის დამტკიცება
ადვილია, თუ დაუკვირდებით ცის მნათობთა მოძრა-
ობას. როგორ შეიძლება, რამდენიმე მილიონი ვა-
რსკლავი ისე მოძრაობდეს, ისე ტრიალებდეს, რომ
ერთი მეორეს არ ეტაკებოდეს, თუ მათი სავალი
გზები წინადვე განწესებულნი არ იყვნენ?

თუმცა შოპენგაუერი ამბობს, რო ჯამი (რაო-
დენობა) ადამიანის უბედურებისა აღემატებაო ჯამს
ბედნიერებისას, მაგრამ ამ აზრის დამტკიცება ძნელია.
ჩვენ ეს აზრი სიმართლეს მოკლებულადაც გვეჩვენე-
ბა, თუ დაუკვირდებით და გამოვიძიებთ მარტო
ჩვენის დედა-მიწის ცხოვრებას. ცხოველებში, რო-
მელნიც შეადგენენ დედა-მიწის მცხოვრებთა უმრა-
ვლესობას, ეჭვის მიუტანელად სიამოვნება აღემატება
უბედურებასა და ტანჯვა-ვაებას; ერთი იმიტომ,
რომ ისინი თავისუფალნი არიან იმ მრავალ სენისა
ჯ უბედურებისაგან, რომელნიც სტანჯავს ადამიანს;
მეორეთ იმიტომ, რო ისინი თავს ბედნიერად თსვლი-
ან, როდესაც აქვთ საკმაო საკვები და მუშაობისა-
განაც შესვენებულნი არიან. მაგრამ ჩვენც, ადამია-
ნებსაც მიუხედავად მრავალ უსიამოვნებათა, ცხო-

*) იხ. „მწყემსი“ № 19, 1903 წ.

7 135

ვრება მრავალ ბედნიერ წამებს, გვაძლევს და ჩვენი სიამოვნება აღემატება უსიამოვნებას. იფიქრეთ მხოლოდ რამდენ უმაღლეს სიამოვნებას გვაძლევს ძიება და გაძოლვიძება, სიმაძღრე, ცვლა შრომისა და შესვენებისა, ოცნებობა და სიზმრები, მოგონებანი და იმედები, დიოგენს ბოჩკაში, სნეულს, რომელიც მრავალ წელს ლოგინში ატარებს,—ერთის სიტყვით, ყველას შეუძლია თავს ბედნიერად გრძნობდეს და მხიარული იყოს. ტურგენევი თავის „ცოცხალ ნაწილებში“ (живыя мощи) მშვენივრად ასურათებს ავად-მყოფ დედა-კაცს: „მე არაფერი მინდა“, ეუბნება ლუკერია სტუმარსა: «მე, მადლობა ღმერთს, კმაყოფილი ვარო“.

ადამიანის ბედნიერებას, ამბობს შოპენგაუერი, უარ-ყოფითი (отрицательный) ხასიათი აქვსო. შეიძლებოდა ეს მართალი ყოფილიყოს, თუ მხედველობაში გვექნებოდა მხოლოდ ზოგიერთა სიკეთე და სიამოვნება: სისაღე არის არა ავადმყოფობა, სიმაძღრე—არა, სიმშილი, მყუდროება—არა მოძრაობა და სხ. მაგრამ ისინი ამისგან განა ჰკარგავენ რასმეს? პირიქით მათ ამით ფასი და მნიშვნელობა ემატებათ კიდეც. მაგ. 1813 წელში ნემენცები უფრო დიდად აფასებდნენ თავისუფლებას, ვინემ 1806 წელში. მხოლოდ ძნელი ავად-მყოფობის შემდეგ ამდგარს ადამიანს შეუძლიან შესაფერისად დააფასოს სისაღე, ჯანის სიმრთელე. რაც შეეხება შრომას, არავინ იტყვის, იგი უარ-ყოფითი ხასიათისა არისო.

გარდა ამისა, შოპენგაუერი უარობს მნიშვნელობას გონებრივ სიკეთე სიამეთა. იგი (გონებრივი სიამოვნება) დაუშრომელი წყაროა ბედნიერებისა. თვით პესიმისტი ფილოსოფოსი ყოველთვის დიდს სიამოვნებას გრძნობდა ხელოვნებით, მწერლობით (ლიტერატურით) და მეცნიერებით მეცადინეობაში. იგი არავითარ სამსახურში არ იმყოფებოდა, მას არავითარი სავალდებულო სამუშაო არ ჰქონდა, მაგრამ მრავალი ბედნიერი წელი გაუტარებია გონების ვარჯიშობასა და მეცადინეობაში.

შემდეგ, შოპენგაუერი არავითარ ფასს არ სდებს ძლიერს ძალას ფანტაზიისას, გამოხატულობითი (წარმოდგენილობითი) ნიჭის მოქმედებას, თუმცა, როგორც წინეთაც ვთქვით, იგი ილლიუზიად, გამოხატულობითი ნიჭის ნაყოფად აღიარებს სიკეთე-სიამეთა უმრავლესობას. ცხადია, ფანტაზიის წყალობით წარსულიცა და მომავალიც უფრო გარკვევით და ნათლად გვესახება თვალწინ. უბედურების მოგონებაც ზოგჯერ სამიამოვნო გრძნობასაც ჰბადებს ჩვენში. „როდესაც ხიფათმა ჩაიარა, იგი სასიამოვნოთაც გვეჩვენებაო“, ამბობს დიდი გიოტე. ფანტაზია, ყოველისფერს, რასაც იგი შეეხება, სასიამოვნო შარავანდედით ჰმოსავს. განა შოპენგაუერისთვის უმაღლესს და უდიდეს ბედნიერებას არ შეადგენდა ის გარემოება, რო იგი თავს გენიოსად და ასკეტად სთვლიდა?

შოპენგაუერი ანგარიშში არ იღებდა, რამდენ ბედნიერებას აძლევენ ადამიანს მისი გრძნობები, როგორც მაგ. სიყვარული. სიყვარული სიამოვნებაა, რომელსაც გრძნობს ადამიანი სხვათა კეთილ-დღეობის ან ბედნიერების დანახვით. სიყვარული იმდენად მაღალი და უანგარო გრძნობაა, რო ადამიანს აიძულებს თავის უარის ყოფას, სხვის საკეთილოდ მსხვერპლად შეწირვას. ამიტომაც შოპენგაუერს ძლიერ შემცდარი წარმოდგენა აქვს ადამიანზე, როდესაც ამტკიცებს, რომ ყოველივე ქვეყნიერებაზე ხელ-მძღვანელობს მხოლოდ ეკვიანური ეგოიზმითო. რა თქმა უნდა, თვით მოყვარეობა, ე. ი., ინსტინქტი თავის დაცვისა უმთავრესი ფაქტორია, უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა ადამიანის ცხოვრებისა; უამისოდ მისი არსებობა შეუძლებელი იქნებოდა; მაგრამ ეს გრძნობა გაკიცხვის ღირსია, როდესაც აიძულებს ადამიანს დასთრგუნოს სხვები, ოღონდ-კი თავისს მიზანს მიახწიოს, სურვილი შეისრულოს. ზოგი დედის სიყვარულსაც ეგოისტურ გრძნობად სთვლის, ჩვენ-კი ეს მოქმედება დიდ ცოდვად მიგვაჩნია. დიდი ზრუნვა, შრომა და ჯაფა სჭირდება დედას, როდესაც ბავშვი ჯერ ისევ უსუსურ მდგომარეობაშია.

„მისთვის, როგორც დედისთვის საჭიროა ყველა ის საკეთილო თვისებები, როდესაც ბალღი აძიძებს მას, ჯერ ისევ ავად-მყოფს, და მოითხოვს საზრდოს დასუსტებულისაგან; ამ სახით, ავად-მყოფობას ზედ ერთვის აგრეთვე ზრუნვა შვილის შესახებ“ (გიოტე) ხშირად შემდეგშიაც, როდესაც ბავშვი წარმოიზრდება, დავაჟკაცდება, იმას (დედას) წინანდებურად უყვარს თავისი შვილი მიუხედავად მისის შეცდომებისა, ცუდის მიმართულებისა, დაქვეითებადაცემისა და ზოგჯერ წყენისა, რომელსაც ითმენს შვილისაგან დედის გული. „დედის გული—საუკეთესო, მარადის საიმედო და ფას-დაუდებელი საუნჯეა

შვილისთვის, მას არას დროს არ ეკარგება თავისი ფასი და მნიშვნელობა, იგი ძვირფასია იმ დროსაც კი, როდესაც ადამიანს თმაში ჭაღარა გამოერევა. ყოველ ჩვენგანს მხოლოდ ერთად-ერთი ასეთი საუნჯე მოეპოება" (შტიფტერი). პესიმისტი-ნატურალისტი იბსენიც კი ქება-დიდებას შეასხავს დედის მხრივ თავის უარ-ყოფას, შვილის გულისთვის თავის გამომეტებას. გაკონის დედას შვილის გულისთვის გახურებული რკინა მიაქვს; როდესაც შვილი ცრუ მეგობრების ჩაგონებით ითხოვს მას სახლიდან, დედა ამასაც ითმენს უსაყვედუროთ (безъ ропота). „პიერ გენტაში"-კი დედის სიყვარული შემცდარ გზაზე მდგომი ფანტაზიორისთვის ერთად-ერთი მტკიცე ნიადაგია, რომელი მას არა ჰღალატობს.

ნ. ჯ—ხ.

(შემდეგი იქნება)

ელეგია.

დრონი იცვალნენ და ჩემს ობოლს სულს
მეტად განეგლტო სიამოვნება,
დრონი იცვალნენ და მის ნაცვალში
ვერ ისადგურებს წრფელი გონება.

—

დრონი იცვალნენ, ჩემი ცხოვრება
ამ უნდოს დიახ არ ემონება,
და ამის გამოც ამა ცვლილებამ
წილად მარგუნა მე დადონება.

—

დრონი იცვალნენ, ნუტარ-ზმანება
ჩვეულებრივი თვალწინა ქრება,
და წარმოდგენა მრავალ-ფერადი
სასიხარულო არ მეფიქრება.

—

დრონი იცვალნენ, და სავალალოდ
სამარტხვინო კი საჩინოდ ხდება;
ბელზებელისა ნაშობ—ნაყოფნა—
ვინ ეურჩება, ვინ ერიდება!

—

დრონი იცვალნენ, ზნისა დაცემა,
უთვისტომობა დღეს წინა დგება,
და მის მორევში მოფარფაშენი
შურსა და ძმის სისხლს ეთაუვნება.

—

დრონი იცვალნენ, დრონი იცვალნენ,
დიადი მტნების კაგშირი წყდება;
ვნატრობ იმ ჟამსა ოდეს ეს დროი
გამოიცვლება, ახლად იშვება!..

როსტომ—გუძა.

მოწყენილის გულდება ლ იმედიც.

მომეწყინა თავს ვერ ვირთობ,
ესდენ ფიქრი მიგრავდება;
ბრუ მეხვევა და ვლონდები,
ახრი ადარ მიცხოვლდება.

—

სად კაკვიარ, გამოვიარ,
მეეურება სულ გოდება;
ოხრა, უში, სულთ შემქუში
მწუხარების მოწოდება.

—

არც არს ტკბილი ის დამიდი,
ნებიერიც სულის შვება,—
სანუკრელი, სასურველი—
დასაწყოი ვემოვნება.

—

არც არს ლხენა, ის მოვლენა
წინა ჟამის ნეტარება;
არ არს ძმური—ის ერთგული
ხელ-ჩართული წინ წარება!

—

ადარ არის, ადარ, არა,
ერთობილი განმტკიცება;
ის საგრძნობი და საცნობი
სათვისტომო დიდი მტნება!..

*
* *

მაგრამ არა! ვერ წარმიკვეთს
მე ეს ჟამი სასოებას,
იმედი მაქვს კვლავ მივეგო
სასურველი მე დროებას...

—

თუმცა დრომან მომაწყინა,
მაუძლურა, მიმცა ვნებას,

მაინც იგი ვერ შემირყევს
ჩემსა რწმენას, შემეცნებას...

—

მოვა დრო და თანაც მომგვრის
ჩემს სანატრო გულის ნებას,—
ერთობიდი წინ სწრობიდი
მადლს ვსწირავდე მე განგებას!

—

კვლავ მოდხენას და მოვდენას
ტკბილ-დიმიდით სულის შვებას
მაგეგები, განმიახლებს
სასურველი გულის ნებას!...

როსტომ—გუძა.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲘᲡ (ᲛᲐᲭᲮᲐᲜᲔᲚᲘᲡ) ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐ

კვირას, 19 ღვინობისთვეს, ქ. სიღნაღიდან მოკიდებული ს. მაჩხანამდე (7—8 ვერსია სიღნაღიდან ქვემო მაჩხანამდე) ბუზიკით ირეოდა, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და სქესისა, განურჩევლად. აქ შეხვდებოდით 80 წლოვან მოხუცსაცა და 5 წლის ყმაწვილსაც. ეს ამოდენა ხალხი მიეშურებოდა დიმიტრი ნადირაშვილის ნაშთის თაყვან-საცემლად; ყველანი ერთმანერთს შესტიროდნენ: „კაცო, დიმიტრი აღარ არის: მთელი ქიზიყი აქ შეგროვილა, აქ მოუყრია ყველას თავი. ყველას უნდა დიმიტრის კუბოს დანახვა და დატირება; ყველა მისჩერებია დიმიტრის სახლის ზემო სართულს, მაგრამ მილეთ ხალხში რომელი ერთა ნახავდა დიმიტრის გაცივებულ გვახს. როგორც იყო, გაარღვიეს ხალხის ზღუდე და ჩამოასვენეს დიმიტრი ეზოში. თან მოსდევდა გულ-დამწვარ-დათუთქული ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცი დედა. საწყალი გულ-საკლავად გაჭკიოდა ლოყებ დაფათრული. იმის ცოდვით ყველა იწოდა. დაიძრა მგალობელთა გუნდი და წაასვენეს მიცვალებული სამების ეკკლესიაში აქ-კი გაიშალა ეს მოზღვავებული ხალხი ეკკლესიის შვენიერ ვაკე და ფართო ეზოში. სამღვდელოება მრავლად იყო, რადგან ყველას უნდოდა მიცვალებულისადმი პატივისცემა დაემტკიცებინა.

წირვისა და წესის აგების შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვები მღ. ფ. კარბელაშვილმა; მ. ტყეშაშვილმა, დ. ჯანაშვილმა, სიღნაღის მაზრის სამრევლო შკოლების ზედამხედველმა მ. დ. იაშვილმა. ამათ დაუ. ხატეს იქ დამსწრე ქიზიყის ხალხს დიმიტრის მოქმედება და ღვაწლი. მოხსენებულ სიტყვების გარდა, ერთმა გლეხთაგანმაცა სთქვა მოკლე სიტყვა. ამ სიტყვას აქვე მოვიყვან რადგან მოკლეა.

ამ გლეხმა ასე დაიწყო:

„საკვარელო და ძვირფასო ძმაო დიმიტრი! მე რადა გითხრა! გაქო? ვაი თუ მწარე დიმიდით მითხრა. რა შენი ქება მინდაო: ავნუსხო შენი დვაწლი და მოქმედება? ეს ხომ პატიოსანმა მამებმაც ბრძანეს. მაშ შემოგწერე შენსავით, როგორც შენ შემოგწერ? არა, დიმიტრი, მე არ შემოგწერები. მე მიყვარდა, მიყვარხარ და მეყვარები იქამდის, სანამ არ გაცივდები ეს ჩემი გული, როგორც დღეს შენი გულია გაცივებული. ეხლა მე შენთან საქმე ადარა მაქვს, მე საქმე მაქვს ამ პატიოსან საზოგადოებასთან: „ბატონებო, ეს ამოდენა ხალხი სქესის, სარწმუნოების და ხნოვანების განურჩევლად რამ შეგვრიბა აქა? დიმიტრამ, არა? გვიყვარს დიმიტრი? „თუ არ გვიყვარდა და არა გვყვარებოდა მაშ აქ რა გვინდოდა, მიბასუხებ. და, თუ-კი გვიყვარდა, როცა ჩვენთვის დატოვოდა მშიერ-მწყურვალი და ზოგჯერ გაჭირვებული და შიშველი, რატომ მაშინ არ შევიარეთ და რათ შევაქციეთ ზურგი? არა უშავს-რა, შეუცდომელი არავინ არის ამ ქვეყანაზე. და მოდით, მოვინანიოთ ჩვენი შეცდომა. შეცდომას მიუტევებენ სულგრძელნი და დიმიტრიც ხომ სულგრძელია. გეგბატიე, ძმაო დიმიტრი, ჩვენი შეცდომა!.. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება!

დიმიტრის კუბოს ამკობდა მრავალი გვირგვინი, ხელოვნურად გაკეთებული, და ნედლი ყვავილებისა.

«ივერია».

Ს. Ვ. ᲙᲔᲠᲡᲙᲘ.

(ნეკროლოგი)

პირველ ოკტომბერს დილის ხუთ საათზედ გარდაიცვალა უწმიდესი სინოდის კანტელარიის მართველი ს. ვ. კერსკი. კერსკი თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა სასულიერო წოდებას. გარდაიცვალა 72 წლისა. კერსკი იყო მდვდლის შვილი პენზენის გუბერნიიდან. განათლება მიიღო სემინარიაში და სემინარიის კურსის

გათავების შემდეგ გათავა უაზანის აკადემია. აკადემიის კურსის შესრულების შემდეგ დაინიშნა დისოგსკის სასულიერო სასწავლებლის ზედა-მხედველად, მეორე წელს 1855 წ. დაინიშნა უმფროს მასწავლებლად და ებოძა მაგისტრობის ხარისხი. 1858 წელს დაინიშნა ობერ-პროკურორის კანცელარიაში და აქ მოემზადა უმაღლესი თანამდებობის მისაღებად. 1867 წ. 8 დეკემბერს, 35 წლის ზობიდამ, იგი დაინიშნა სამასწავლებლო კომიტეტის წევრად უწმიდეს სინოდთან და ხშირად იგზავნებოდა რევიზორად სასულიერო სემინარიებში და სახოგადოდ სასულიერო სასწავლებლების დასასედავად. 1873 წელს იგი მოვიდა თფილისის სასულიერო სემინარიაში რევიზორად. ბევრი ცვლილება მოახდინა მან თფილისის სემინარიაში. მის მოხსენებას დიდ ეურადღებას აქცევდენ სინოდში. უნდა სამართლე ვსთქვათ, ბევრ რამეში ხელი შეუწყო თფილისის სემინარიას. კერსკის წაკითხული იყო, რომ თფილისის სემინარიაში დაიწყეს მიღება გლეხის შვილებისა; ამის ანგარიშის შედეგი იყო, რომ ჰანსიონერების რიცხვი გაძრავდა სემინარიაში. განსვენებული კერსკი იყო დიდი წინააღმდეგი ე-დ სამდვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა ქუთაისში სემინარიის გახსნისა შესახებ. ეველას კარგად ახსოვსთ გაბრიელის ენერგიული მოხსენებანი და კრიტიკულნი განხილვანი კერსკის ანგარიშისა, რომელიც უწმიდეს სინოდს მიართვა მან. უწმიდესმა სინოდმა ე-დ სამდვდელო გაბრიელის საფუძვლიანი მოხსენებით ბევრი მოსაზრება კერსკისა უარეო და არ დაამტკიცა. მეტის-მეტად შესანიშნავია რაგორც განსვენებული ეპისკოპოსის გაბრიელისა ისე ს. ვ. კერსკის ბიოგრაფიისათვის მიწერ-მოწერა ამ უკანასკნელის რევიზიის ანგარიშების გამო.

1898 წელში უწმიდეს სინოდში ვნახეთ ს. ვ. კერსკი და აი სხვათა-შორის რა გვითხრა: „მართალია ერთს დროს მე ძლიერ წინააღმდეგი ვიყავი ქუთაისში სემინარის დაარსებისა და სახოგადოდ იმერეთის ეპარქიის ზოგიერთ მოხსენებათა შესახებ, მაგრამ ამის შემდეგ ვეცდები, რომ ჩემის სამსახურით ეველაფერი აუნაზღაურო თუ ვისმე რამე დაკლდა ჩემით. მაგრამ სამწუხაროდ ადარ დასცალდა განსვენებულს...

დეკ. დ. დამბაშაძე.

ახალი აბმები და შენიშვნები.

უმაღლესის დებულების ძალით შეიცვალა წესი ეგზამენებისა დედათა ინსტიტუტებში, კურს დამთავრებულთა დაჯილდოებისა დედათა საშუალო სასწავლებლებში და კონფერენციების შესახებ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განმარტა, რომ ამიერ კავკასიის დედათა ინსტიტუტსა და საეპარქიო სასწავლებელში კურს დამთავრებულ ქალებს შეუძლიანთ საფთიაქო შეგირდებად გამწესდნენ, უკეთუ მოწმობას წარადგენენ ლათინურ ენის ცოდნისას, რასაც კლასიკურ გიმნაზიის პირველ ოთხი კლასის პროგრამმა მოითხოვს. ვისაც მოხსენებულ სასწავლებლებში არ დაუმთავრებია სწავლა და სურს აფთიაქრის შეგირდად შევიდეს, უნდა ეგზამენი დაიჭიროს გიმნაზიის ოთხის კლასის კურსის ცოდნისა, ბერძნულის ენის გარდა. აფთიაქრის შეგირდად შეიძლება შევიდეს აგრედვე ის ქალიც, რომელსაც საშინავო მასწავლებლის უფლება აქვს, უკეთუ ლათინურის ენის ცოდნის მოწმობასაც წარადგენს. იმ დღიდგან, როდესაც შეგირდებად შეირიცხებიან, ორის წლის შემდეგ შეუძლიანთ აფთიაქრის თანაშემწობაზედ დაიჭირონ ეგზამენი.

*** პეტერბურგის ბოგანო ხალხში სისწრაფით ვრცელდება დანაშაულობა და წესიერების დარღვევა. ამ ბოგანო ხალხს, ეგრედ წოდებულს ქუჩის პროლეტარიატს, უმეტეს ნაწილად შეადგენენ ხელოსანნი, სახელოსნოების შეგირდები, უსაქმოდ დარჩენილი მოსული მუშები და მათხოვრები. ამ გარემოებას დაუფიქრებია პეტერბურგის პოლიცია. ქალაქის უფროსს შეუმუშავებიაზომები იმ მიზეზის მოსასპობად, რომელიც ხელს უწყობს დამნაშავეელემენტის გამრავლებას. სხვათა შორის, აზრადა აქვთ: დააარსონ განსაკუთრებული ინსპექცია, რომელმაც თვალ ყური უნდა ადევნოს სახელოსნოებს და პასუხის გებაში მისცეს სახელოსნოების პატრონნი შეგირდების სწავლებისა და შენახვა-მოვლის შესახებ კანონის დარღვევისათვის, გააფართოვონ არსებული მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენები და ააგონ ქალაქ-გარედ ახალი თავშესაფარები, სადაც სავალდებულო იქმნება ხელობის შესწავლა, გამართონ მათხოვართა და პროფესიონალურ დამნაშავეთათვის სატუსაღლს მაგივრად შრომის სახლები სავალდებულო შრომით და გადაეცეს მათხოვართათვის მზრუნველობის საქმე ქალაქის თვითმმართველობასაც.

*** კამენეც-პოდოლსკის მომრიგებელ მოსამართლეს განუხილავს ერთი საინტერესო საქმე. გლეხის ქალს, გვარად კარჩისტაიას, განუცხადებია თავის სოფლელთათვის, ვითომ მას მინდორში ენახოს წმინდანი, თეთრის ტანისამოსით შემოსილი, ჯვრითა და წიგნით ხელში, რომელსაც უთქვამს, ჩამოვედი ზეციდან თქვენდა გამოსახსნელად ცოდვებისაგან და ის ადგილი, რომელზედაც მე ვდგევარ, უნდა აკურთხოთო. სოფლელებს დაუჯერებიათ ეს ჭორი. მღვდელიც სიამოვნებით შეამხანაგებია მეჭორე ქალსა და დიდის ამბით უკურთხებია „წმიდა“ ადგილი. ჩქარა ხმა მოსდებია ახლო-მახლო მდებარე სოფლებსაც და აუარებელი ხალხი ფულითა და საჩუქრებით მისწყდომია ამ ადგილს თაყვანის საცემლად. მაგრამ საქმეში ჩარეულა პოლიცია, გამოუძიებია საქმე და პასუხის გებაში მიუცია კარჩისტაიას ქალი. სასამართლოში გამორკვეულა, რომ ქალს არაფერიც არ უნახავს და წმინდანის ნახვა იმის ოცნების ნაყოფი ყოფილა.

*** ჩვენის ლონდონელ კორესპონდენტის წერილიდან გეცოდინებათ, რომ ჯონ მორლეიმ გლადსტონის ბიოგრაფია გამოსცა. გაზეთები იუწყებიან: გლადსტონის ახალი ბიოგრაფია ინგლისელებმა სწორედ დაიტაცესო. პირველი გამოცემა —125 ათასი ცალი წიგნი—6 დღეში გაიყიდა. ჯერ წიგნი არ გამოსულიყო, რომ გამომცემლებს 50 ათასი ცალი გაყიდული ჰქონდა. რა დღესაც წიგნი გამოვიდა, გლადსტონის ბიოგრაფია 20 ვაგონით, წონით 80 ათასი კილო, ლონდონის სხვა-და-სხვა წიგნის მაღაზიებში გაგზავნეს. მორლეიმ შრომის ფასად 10 ათასი გირვ. სტერლინგი მიიღო; გამომცემელმა სულ 2,750,000 მანეთის წიგნი გაჰყიდა. ასე ჰყვარებიათ ინგლისელებს „დიდებული მოხუცი!“ („ივერია“)

*** ნოემბრის 4-ს მოსკოვში დაიწყება რუსეთის „თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლების კრება.“ კრებაში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევიათ ტფ. გუბერნიის მარშალიც თავ. დ. ზ. მელიქიშვილი.

*** ხმები ისმის სასულიერო წოდებაში ზოგიერთ მოსამსახურე პირთა ადგილების გაცვლისა.

*** საერო განათლების სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, საშუალო და სამოქალაქო ოთხკლასიან სასწავლებლის მასწავლებელთ მოუმატონ 20 პროცენტი არსებულ ჯამაგირისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პირველად გაზეთი იაპონიაში 1871 წელს დაუარსებიათ. მას აქეთ გაზეთების რიცხვმა სწრაფად იმატა და ეხლა მარტო ტოკიოში გამოდის 20 ყოველ-დღიური გაზეთი, მთელ იაპონიაში-კი 300-ზე მეტი ყოველ-დღიური გაზეთია. ამას გარდა დიდძალი ყოველგვარი მიმოხილვა (ჟურნალი) გამოდის, ასე, რომ იაპონიაში სულ 2 ათასამდე პერიოდული გამოცემა იქნება. წელიწადში 100 მილიონამდე ფურცელი გამოდის. უმთავრესი გაზეთები შემდეგია: „იეჟი-შიმპო“ („ახალი ამბები“)—თავისუფალ უნივერსიტეტის გაზეთია; „ტოკიო ნიშ-ნიში“ (დღე და დღე ტოკიოშ.“)—მარკიზ იტოს პარტიის გაზეთია; „კოკუმინ შიმბუნ“—დამოუკიდებელი გაზეთია, ყველაზე სერიოზული და პროგრესიული; „ნიპონ-შიმპუნ“ („იაპონია)—კონსერვატიული გაზეთია; „მაინიში“ („ყოველ დღიური“)—პროგრესიული გაზეთია, პროგრესისტების ცნობილ მეთაურს შიმადა საბუროს ეკუთვნის; „იიმინ“-ი („ხალხი“)—გრაფ იტაგაკას ლიბერალურ პარტიის გაზეთია; „იომიური“ («მოამბე»—დამოუკიდებელი გაზეთია, რადიკალებს თანაუგრძნობს; „იოროზუ-შოშო“ („სატახტო ქალაქის ათი-ათასი ახალი ამბავი“)—უმთავრესად სხვა-და ბოროტ-მოქმედებას აჩენს, სკანდალებზე სწერს და სხვ. ამისთანაებს ეტანება, ძლიერაა გავრცელებული უბრალო ხალხში. დანარჩენ გაზეთებში უფრო გავრცელებულია; „შოუო“ („ცენტრი“, „ჰოში“ («ახალი ამბები»), «მიიაკო» („დედა-ქალაქი“) და „იამატო“. ამ უკანასკნელ ორ გაზეთს, უმთავრესად „გეიშები“ და „ყვავილის სახლების“ მუშტარი ჰკითხულობს. პროვინციალურ გაზეთებში ყველაზე ძლიერ „გავრცელებულია გაზ. „ასაჰი“ („მომავალი მზე“)—ოსაკაში გამოდის. იაპონელები ევროპიულ ენებზეც სცემენ. გაზეთებს. ამ გაზეთებში ყველას „ჯეპენ მეილ“ -ი სჯობს.—ეს გაზეთი ინგლისურ ენაზე გამოდის. იაპონური მიმოხილვები ყველა საგანზე ჰბეჭდვენ წერილებს. ყველაზე მეტად მიმოხილვა «ტაივო»-ა («მზე») გავრცელებული. ქალებს თავიანთი საკუთარი გაზეთი აქვთ „ონა ნო ტომ“, მუშებს კიდევ—„როდო-სეკაი“; მრეწველობისა, შინად-მოქმედებისა და ტეხნიკის ყოველ დარგს თავისი საკუთარი ფურცელი აქვს. იაპონური პრესა თავისუფლად სწერს ყოველს საგანზე.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საარწმუნოებასა და კეთილმსნეობაზე.

სიტყვა,

წმიდათა დიდთა მოწამეთა არგვეთის მთავართა დავით და კოსტანტინეს დღეს.

მართალი ვითარცა ფინიკი აღყვავნეს, და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განმრავლდეს. (ფსალ. 91, 13).

შორეული ქვეყნის ბუნებიდანაა, ძვირფასნო მსმენელნო, აღებული—მოყვანილი შედარება. ფინიკი და ნაძვი ლიბანისა შეადგენენ იმ ქვეყნის მშვენებას, რომელსაც სახელად ეწოდება ურიასტანი, აღთქმის ქვეყანა, რომელიც ოდესმე ეპყრათ ურიათა დიდებულ მეფეთ დავით და სოლომონს, რომელიც ცნობილია ყველასათვის, როგორც ქვეყნიერების გამოხსნისათვის განსორციელებული იესო მაცხოვრის სამშობლო. მომხიბლავს, თვალთ-მიმზიდველს და დიდებულ სურათს წარმოადგენს როგორც ფინიკი, ისე ნაძვი ლიბანისა. კელაპტარივით სწორი, ოც-და-თხუთმეტ აღლის სიმაღლეზე აბჯენილი, უშველებელი სისქის ხე, დაფენილი თავიდან ბოლომდე ბატის ფრთის მსგავსი საჟენ-ნახევრიანი სიგრძის მწვანე ფოთლებით, საიდამაც დამატყვევებელი მშვენიერებით გამოიყურებიან სუნელებითა უხვად მფრქვევი ყვავილები, რომლებიც ბოლოს უნდა გახდენ ტკბილ ნაყოფად და გამოკრულნი ოქროს ფერ პარკებში, იწყებენ ბზინვას ხსენებული ხე—სურათის მწვანე ფოთოლთა მდიდარ ხავერდზე ვით საქორწინო გვირგვინის ტოტი —აი საზოგადო და დაახლოვებითი სურათი ფინიკის ხისა, თუ ყველა ამას კიდევ ზედ დაუმატეთ ამ ხისავე ქვეშ აუცილებლად ამომდინარე ბროლისავით სუფთა და კამკამა წყლის ნაკადულსაც.

ახლა წარმოიდგინეთ მეორე, წარჩინებული სუნნელოვანების წებოთი გაჟენთილი, თვალ-შეუწვდენელი სიმაღლის მცენარე, რომელსაც თექვსმეტი საჟენის სიშორეზე უდარდელად გადუსროლია ოთხივ მხრივ მოხდენილი სამზეურივით ხშირი ფურცლებით დაბურული ტოტები და ამომჯდარა მიწიდან იმხელა სისქის ღეროთი, რომ ექვსი კაცის ხელს გაუძნელდება მისი შემოწდომა—და თქვენ დაგეხატებათ სურათი ლიბანის ნაძვისა.

აი ამ ბუნების საოცნებო სამკაულთ ადარებს ღვთივ-განბრძნობილი წინასწარმეტყველი მეფე დავითი მართალს, წმინდა, ღვთის სათნო, ცხონებულ კაცს, როდესაც დასწერს—მართალი „ვითარცა ფინიკი აღყვავნეს, და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განმრავლდეს“.

მოყვანილი დასურათების შემდეგ ადვილი მისახვედრი უნდა იქნეს ჩვენთვის, ძმანო ქრისტიანენო, ფინიკისა ჯ ლიბანის ნაძვის დიდი მნიშვნელობა ფრინველებისთვის. კითხვა არ უნდა, რომ ეს ხეები მეტად სასურველი, მეტად მიმზიდველი, მეტად საიმედო თავშესაფარად, უტყუარ მოსასვენად და სანატრელ სავანედ ექნებოდათ მიმჩნეული ფრინველებს. ცხადია, რომ ამ ხეებს მიაშურებდა, უეჭველად, სიცხისა და პაპანაქებისაგან შეწუხებული ფრინველი, აქ, ამ ხეების ხშირი ფოთლების საბანქვეშ შეფარებულს გადუვარდებოდა გულიდან დარდი შიმშილისა და მტრისა, ქარისა და სეტყვა-ავდრისა და სხ. და სხ.

მაგრამ განა აქ, ჩვენს ახლო, ჩვენს გარეშემოკი არაფერს ვამჩნევთ, არაფერს ვხედავთ ისეთს, რომ გვაგონებდეს სწორეთ ამ ფრინველთა მიმზიდველი მცენარეების დიდებულ სურათს? განა ამ წმიდა უდაბნოს დღევანდელი მდგომარეობა ერთობ საგულისხმო და ჩასაფიქრებელი არ არის ამ მხრივ? განა წმიდათა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს საფლავი იმგვარივე ძვირფას და სანატრელ თავ-შესაფარად არ მიაჩნიათ მორწმუნეთა, როგორც აყვავებული ფინიკი და ფართოდ გაშლილი ლიბანის ნაძვი გარეულ ფრინველებს? აბა, ბძანეთ მაშ რა ძალას შეუკრებია ეს ერი? რისგამო დაუტოვებია ქალსა და ვაჟს თავისი საცხოვრებელი ბინა და მოუტანებია ამ სავანესთვის?

პასუხი ყველასათვის ცხადი და მისახვედრია: ქრსტიანენი მოსულან დღეს ამ წმიდა ალაგს სწორეთ იმ აზრით და იმის გამო, რა აზრით და რის

გამოც ეტანებიან ფრინველები ფინიკსა ‌ᲡᲔ ლიბანის ნაძვს. უსამართლოდ დევნულნი, ძალ-მომრეობით დაჩაგრულნი, სიღარიბით შეწუხებულნი, სნეულებისგან დაუძლურებულნი, სიკვდილისაგან გულდაკოდილნი, ცოდვათა გამო სასოწარკვეთილების უფსკრულამდე მისულნი, სვინდისისგან მწარედ დასჯილნი — აი ვინ შეჰმოკრებიან დღეს დავით და კოსტანტინეს უხრწნელ გვამთა აჩრდილს და მტკიცედ სასოებენ, რომ აქ, ამ წმიდა ჩეროში იგინი იპოვიან სულიერ მოსვენებას, განიკურნებიან ხორციელი და სულიერი სნეულებისაგან, ჩამოიხსნიან ცოდვათა მძიმე ტვირთს, გაილხვობენ ‌ᲡᲔ გაითბობენ გულს მოყვასთა სიბრალულისა და სიყვარულისათვის, მოაკვდინებენ ამპარტავნებას, შეიმოსენ სიმდაბლეს, მოიძიებენ სულიერ მხნეობას და შეირიგებენ გარისხულ სვინდისს. აი რა აზრს შეუკრებია ეს ერი, აი რის შესაძენად, რის მოსაპოებლად, რის მისაღწევად მოსულა დღეს ქალი და კაცი ამ წმიდა სავანეს!

დიაღ, ეს ყველა წმიდა და საღმრთო აზრია, მეტად ხელსაყრელი და საქებარი მიზანია, მხოლოდ საჭიროა ვიცოდეთ, აღწევს ამ მიზანს, ისრულებს თუ არა, აქ მოსვლით კაცი ამ სასიქადულო გულის წადილსო: იკითხავს ვინმე თქვენგანი. მაგრამ განა შეიძლება ამ შემთხვევაში რყევა და ეჭვიანობა! კარგად ჩააკვირდი, ძმაო, მდოცველთა ლმობიერებით. აღვსილი სახის გამომეტყველებას, მიაქციე ყურადღება რაზომი სასოებით და გულდაჯერებით მიუპყრიათ მათ თვალი წმინდანების გვამთათვის, და ყველაფერი ცხადი გახდება შენთვის, ყოველი ეჭვი გაგშორდება გულიდან და სცნობ, რომ არა რა ქვეყნიურს ძალას, გარნა ღვთის მადლისა არ ძალუძს მიანიჭოს ამ ტანჯულთ და წამებულთ ის სულიერი შვება და სიხარული, ის ნუგეში და გამხნევება, ის ლმობიერება და კმაყოფილება, რომელსაც ასე ცხადად და ნამდვილად გრძნობს აქ თვითეული მათგანი, რომელსაც თავისუფლად ეწაფება აქ დიდი და პატარა, რომელიც მაცოცხლებელ მზის სხივად ეფინება მათ გულს, გამკურნავ და გამამთელებელ სალბუნად ჰხვდება მათ სულისა და გულის ღრმა იარა ჭრილობათა.

ოჰ, რა მადლი და კურთხევა ღვთისა დატრიალდებოდა ჩვენშორის, რა გასახარელი და სანატრელი შეიქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ მტკიცედ, წაუშლელად და ამოუფხვრელად ვიბეჭდავდეთ გულის ფიცარზე იმ მაღალ და ღვთის სათნო მიდრეკილებას, რომლითაც ამ წამს გამსჭვალულია თვითეული ჩვენგანი! რა სასურველსა და სანატრელ სახეს მიიღებდა ეს ჩვენი დღევანდელი ერთი-ერთმანეთის სამტროდ, ერთი-ერთმანერთის დასაჩაგვრელად და გასანადგურებელად გამოწყობილი, ბოროტებაზე და უსამართლოებაზე აშენებული ცხოვრება, რომ სიმართლის შეძენისა, წმიდათა დავით და კოსტანტინეს ცხოვრების კვალზედ დადგომისა და მათ მოქმედებათა მიბაძვის საღმრთო სურვილს, რომელიც ამ წამს დიდად გვწყურია ყველას, ვიქცევდეთ სულის მიუკილებელ მოთხოვნილებად, მუდამ ამ კეთილ აზრს ვადგეთ, ყოველ ჩვენ სიტყვას, ყოველ საქმეს მისდა კვალად, მისდა შესაფერად ვარიგებდეთ! მაშინ დედა-მიწა იმზომად აღარ იქნებოდა დამძიმებული ჩვენი უსამართლოებით და ბოროტებით, მაშინ კაცთა შორის გამეფდებოდა სასურველი სათნოება, მაშინ ქვეყანა გახდებოდა წმინდათა საბძანებელად, მაშინ ყველა დარწმუნდებოდა და ყველა მეფე დავითთან ერთად ხმა მაღლად აღიარებდა: მართალი ვითარცა ფინიკი აღეყვანეს, და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განმრავლდეს.

ეხლა?! დიდხანს შეგვრჩება ლმობიერებ, რომლითაც ამ წამს მომბალი გვაქვს ყველას გული? არ უღალატებთ, არ მივივიწყებთ სიჩქარით იმ წმინდა ცხოვრების სურათს, რომელსაც ამ წამში ვგრძნობთ ყველანი? წმიდათა დავით და კოსტანტინეს მეოხებით მიღებულ ღვთის მადლსა და კურთხევას გაუფრთხილდებით როგორც ძვირფას საუნჯეს და არ შეურაცხყოფთ მას უშვერი სიტყვით და საქმით, არ დავკარგავთ მას გზაშივე ჩვეულებრივი დაუდევრობისა და უდები ცხოვრებისადმი მიზიდულობის გამო?..

მაგრამ ნუ, ნუ გამოუდგებით ამ კითხვების ძიება-გამოკვლევას, ნუ გავიმწარებთ საღღესასწაულო გუნებას. უმჯობესია სულით და გულით მივმართოთ ჩვენს მფარველებს, ჩვენს მეოხთ, ჩვენს ანგელოზებს, ჩვენს პატრონებს, ჩვენს ზეციურ გვირგვინთ წ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს და გულ-მოდგინეთ შევსთხოვოთ: ღვაწლით მოსილნო დიდნო მოწამენო დავით და კონსტანტინე, ნუ მოიხსენებთ შეგვინდეთ და მოგვიტევეთ ყოველნი შეცოდებანი, უსჯულოებანი და ბრალნი ჩვენნი, რომლითაცა განგარისხეთ და გაგამწარეთ წარსულსა

წელსა. ნუ მოგვიძულებთ, ნუ მოგვიშლით და ნუ მოგვაკლებთ ჩვენ უღირსთა მამობასა, პატრონობასა და მფარველობას თქვენსა; გამოგვითხოვეთ ჩვენთვის ჯვარცმულისაგან სიმრთელე და დღეგრძელობა, მშვიდობა და მყუდროება, სიუხვე საზრდელისა და ჰაერთა კეთილ-შეზავება, სიყვარული მიუდრეკელი ღვთისა და მოყვასისადმი, ძლევა ბოროტთა ზედა გულის თქმათა ჩვენთა და განწყობა ცხოვრებისა ჩვენისა სათნოდ და სადიდებელად ღვთისა, სასიქადულოდ და საქებელად თქვენდა, სასიხარულოდ და სანუგეშოდ ეკკლესიისა. ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

ყველას საყურადღებოდ.

ძლიერ სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ეხლანდელ დროში იშვიათად შეხვდებით წიგნთსაცავებს, რომელნიც საკომისიოდ მიღებული წიგნების ანგარიშს იძლეოდენ რიგიანად. ხშირად წიგნების გამომცემლები 20% და 30% უთმობენ თითო მანეთზე, მაგრამ ზოგიერთებისაგან გასყიდული წიგნების ფასიდან სულაც ვეღარას იღებენ. საჩივრის გამართვა ამისთანა წიგნთსაცავების პატრონებთან მოუხერხებელია ხოლმე. გვიკვირს, რომ წიგნების მყიდველები თვითონ ავტორების და გამომცემლებისაგან არ იბარებენ წიგნებს, როცა მათ ერთად ათი და მეტი ცალი სურსთ მოიპოვონ. გამომცემლები მათ დაუკლებენ თითო მანეთზე 20% და ნუ თუ ეს მათთვის სასარგებლო არ არის? ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ვინც პირდაპირ ჩვენიდან გამოიწერს წიგნებს არა ნაკლებ ერთი ათი ცალისა ან ათი მანეთისა ყოველთვის 20 პროც. დაეთმობა მანეთზე, და თუ რკინის გზით შეიძლება გაგზავნა მაშინ გასაგზავნსაც არ იხდიან, — უფასოდ გაეგზავნებათ.

ამასთან ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ჩვენი გამოცემები ყველას შეუძლია მოიპოვონ ქუთაისში წიგნის მაკზმელ მეიერ მინოვიჩთან, რომლის სახელოსნო არის დიდი გიმნაზიის პირდაპირ; თფილისში წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთსაცავში; ყვირილაში ვაჭარ იორდანე ცერცვაძის მაღაზიაში და ჟურნალის, მწყემსი-ს რედაქციაში და სტამბაში.

ქუთათურ ხელის მომწერლებს ჟურნალები შეუძლიათ მიიღონ ზემოხსენებულ მეიერ მინოვიჩიდან და აქვე ყველას შეუძლია მიღება ყოველ გვარ მოწმობათა ბლანკთა და ჟურნალთა.

ჩვენ რედაქციაში დღეს იმექონება აგრეთვე ზოგიერთების თხოვნისამებრ სლავიანურ ენაზე პატარა ტანის ტრაპეზის სახარებანი, „მოლებნის“ წიგნები, ჟავნები და დავითნები.

რედ. დეკ. დ. ღამბაშიძე.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: რედქციისაგან, დეკ. დ. ღამბაშიძისა. —ჩვენის სამღვდელოების საჭიროება. —მღვ. ვლადიმირ მაჭარაშვილის წერილისა-გამო, მღ. ს. ჭუმბურიძის. —მიზეზები კაცის მრავალ უბედურებათა, (თარგ.) ნ. კ—ხ.— ელეგია (ლექსი) როსტომ—გუძასი.—მოწყენილის გოდება და იმედიც, (ლექსი) იმისივე.—დიმიტრი ნადირაძის (მაჩხანელის) დასაფლავება.—ს. ვ. კერსკი, (ნეკროლოგი) დეკ. დ. ღამბაშიძისა.—ახალი ამბები და შენიშვნები —ჟურნალ-გაზეთებიდან.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოზრივ საარწმუნოებასა და **კეთილ-ზნეობაზე**: სიტყვა, წმიდათა დიდთა მოწამეთა არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს დღეს, ეპის. ლეონიდის.

—ყველას საყურადღე-ბოდ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 31 октября *1903 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.